ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 18
23/02/2018

18-04-4-201802231548

„ ა.(ა)ი.პ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების პედაგოგთა და თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების მინიმუმ 100 ლარით გაზრდის თაობაზე წინადადების მოწონების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. უარი ეთქვას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს მიერ ინიცირებული „ა.(ა)ი.პ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების პედაგოგთა და თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების მინიმუმ 100 ლარით გაზრდის თაობაზე წინადადების მოწონების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცებაზე.

2. განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი N358).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შუქრი თურმანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე